

# ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

ტერმინი „ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება“ ვარდების რევოლუციის შემდეგ 2006 წლიდან დამკვიდრდა, თუმცა მისი ზუსტი დეფინიცია ჯერ-ჯერობით არ არსებობს. მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაციული რესურსი არის ქონება ან სხვა სახის რესურსი, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად. ამ საკითხზე არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი შედგენილი, რომელთა მიხედვით და მეცნიერთა მოსაზრებების ანალიზზე გამოიკვეთა ადმინისტრაციული რესურსების სახეები:

სამართლებრივი (საკანონმდებლო და მარეგულირებელი რესურსები, გადაწყვეტილების მიმღები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისა და სასამართლოების მმართველი პარტიისა ან კანდიდატის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება).

ინსტიტუციური (წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზება – ჩატარებისთვის სახელისუფლო სტრუქტურების საოფისო ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებები, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოხელეების და სახელმწიფოს თანხებით დაფინანსებული სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსის გამოყენება).

ფინანსური (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლის საბიუჯეტო რესურსების მიმართვა მმართველი პარტიის ან კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეწყობისათვის. ძალისმიერი რესურსი ნიშნავს პოლიტიკური ოპონენტების, მათი მხარდადამჭერების ამომრჩევლის წინააღმდეგ და მათზე უკანონო ზემოქმედებისათვის ძალადობრივი მექანიზმის გამოყენებას).

მედია რესურსებით კი სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან დაფინანსებული მედია საშუალებებით მართველი პარტიის ან მისი კანდიდატის პრივილეგიებულ მდგობარეობაში ჩაყენება ხდება.

ჩვენი მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ ფორმულირების შემდეგ მიმოვიხილოთ ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა არჩევნების თარიღი ბოლო დღეს გამოაცხადა. ეს გახლავთ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების კლასიკური მაგალითი, რადგან მას ამ თარიღის გამოცხადება შეეძლო მანამდე თელი ოთხი თვის განმავლობაში, ეს გააკეთა იმიტომ, რომ სურს მმართველმა პარტიამ მიიღოს სარგებელი, რადგან სხვები დაბნეულები არიან, ამით მან დანარჩენი პარტიები მმართველ პარტიასთან შედარებით არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

მმართველ პარტიას და ხელისუფლებას ერთ ლოზუნგი აქვთ „მეტი სარგებელი ხალხს“, გამოდის, რომ ზღვარი პარტიას და ხელისუფლებას შორის აღარ არსებობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი და იგივე მმართველი პარტიისა და სახელმწიფოს დროშები.

ის ფაქტი რომ საჯარო სამსახურები და სასწავლო დაწესებულებები (სკოლები განსაკუთრებით) პოლიტიზირებული არიან, საყოველთაოდ ცნობილია. რამდენიმე დღის წინ ლანჩხუთი-ოზურგეთის გზის გახსნაზე სოფელ ძიმიტში ჩამოსულ პრეზიდენტს სწორედ საბიუჯეტო სამსახურებში სკოლებში დასაქმებული ასობით ადამიანები დაახ-

ვედრეს, ადგილობრივი მცხოვრები კი თითქმის არ ყოფილა.

ცესკოს ვებ გვერდზე განთავსებული მასალის მიხედვით ათ სექტემბერს ცენტრალურ –საარჩევნო კომისიაში შემოვიდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, განცხადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფისის რწმუნებულის, სამუშაო კაბინეტში აკრძალული სააგენტო მასალის გამოყენების შესახებ.

ცესკომ შემდგომი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით წარმოადგინილი განცხადება რეაგირებისათვის გადაუგზავნა №61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავდღომარეს.

განცხადების შესწავლის შედეგად, დადგინდა, სუფისის რწმუნებულის ელგუჯა ჩხარტიშვილის მხრიდან საქართველოს ორგანული კანონის ,, საქართველოს საარჩევნო კოდექსის,-, 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა და მის მიმართ ადმინისტრაციული ოქმი შედგა. ოქმი განსახილველად გადაეცა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

ჩვენ ვეწვიეთ №61-ე ლანჩხუთის საარჩევნო ოლქის თავდღომარეს, ბატონ **ზვიად ნაბაძიძეს**, რომელმაც გვითხრა, რომ შემოსული იყო საჩივარი, განვიხილეთ და ვაწარმოეთ კვლევა. საჩივარში მითითებული იყო ინტერნეტის ლინკი, იგივე მისამართი, სადაც მასალა იყო დადებული. როცა დავრწმუნდი, რომ ფაქტი სწორი იყო და ვნახე პლაკატები რწმუნებულის კაბინეტში, მივიღე გადაწყვეტილება შემევსო ადმინისტრაციული-სამართალ დარღვევათა ოქმი, რომელიც დააკამყოფილა მოსამართლემ სასამართლოზე და დაჯარიმა 1000 ლარით.

ასევე შემოსულია კიდევ ორი საჩივარი. ორივე სუბიექტის მიერ არის შემოტანილი. მიმდინარეობს საქმის წარმოება, ჯერ გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ერთი შემოიტანა კოალიცია ,, ქართული ოცნების,, კანდიდატის თემურ ჩხაიძემ, სადაც ის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლანჩხუთის სამსახურში პირადობის გაცემის მიზნით გვიჩვენებდა (არა სამუშაო დროს) მეშინაბა ასაჩივრებს, რაც გადაღებული იქნა ინფო-9 ჟურნალისტიკის მიერ და მიუთითებს, რომ ეს არის მოსყიდვა და ამავე დროს მიუთითებს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე არა სამუშაო დროს. მეორე შემოიტანა ერთიანად ნაციონალურმა მოძრაობამ. ისინი საჯარო მოხელეებს ადანაშაულებენ სამუშაო საათებში აგენტო პრაპაგანდაში, – აღნიშნა ბატონმა ზვიად ნაკაიძემ.

თუ როგორ იყენებენ პარტიები საარჩევნო რესურსებს, როგორ თანაბარ პირობებში მიმდინარეობს, რა უჯდებათ ოფისების შენევა, მივმართეთ პარტიების ლიდერებს.

**მარიკა თურნაძე, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია:** „ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები ჩვენი ქვეყნისათვის. არჩევნები უნდა ჩატარდეს სამართლიან და თავისუფალ გარემოში, მაგრამ რამდენად იქნება ეს მოთხოვნები უზრუნველყოფილი ამაში ეჭვი მეპარება. რაც შეეხება საარჩევნო პირობისა, ცხადია, თანაბარი არ გვაქვს. პოლიტიკური დამაბულობა პიკამდეა მისული და საარჩევნო გარემო პოლარიზებულია. ჩვენთანაც უნდა დადგეს დრო, როდესაც ადამიანს შიში არ ექნება იმისა რომ თავი-

სი აზრი ღიად დააფიქსიროს და გამოხატოს თავისი აზრი, მისი შეხედულება ამა თუ იმ ოპოზიციური პარტიის მიმართ. ხელისუფლებას აქცენტი აქვს ადგილობრივ ზეწოლაზე და ეცდება ადამიანებზე მოახდინოს გავლენა, ამის პირველი ნიშნები უკვე იგრძნობა. ჩვენ არ გვყავს კანდიდატი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე სხვა ოპოზიციურ კანდიდატს თანადგომას არ ვუწევდ. მათ მიმართ ზეწოლას ნამდვილად ვერ ვუყურებ მშვიდად და თუ საჭირო გახდება მე დავდგები იქ, სადაც ჩემი ხალხი იქნება. ხელისუფლება ემზადება მასობრივი გაყალბებისათვის, და თუ ხალხმა იგრძნო, რომ არჩევნები გაყალბდა, ისინი თავად გამოვლენ ქუჩაში. ჩვენ ყველამ ერთად, თითოეულმა ოპოზიციურმა პარტიამ უნდა დავიცვათ ჩვენი ხმები. არც ერთი ოპოზიციური კანდიდატის ხმა ჩვენს რაიონში, რომელსაც მეტი წილი პროცენტი ექნება, ამ ხელისუფლებას არ უნდა „გავაპრაყვებინოთ“ და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ“.

**რომან ბიწაძე, რესპუბლიკური პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავდღომარე, ეროვნული კომიტეტის წევრი, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი:** „მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების მოთხოვნისა, მიუხედავად ხელისუფლების დაპირებასა საარჩევნო სუბიექტებს მაინც არათანაბარ პირობებში უხდებთ საარჩევნო კამპანიის წარმართვა, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ლანჩხუთის სინამდვილეში.“

საქართველოში განსხვავებული აზრია ზოგადად ხელისუფლების მიერ შეზღუდული და იღვევება განსხვავებულია. ამის მკაფიო მაგალითია ტელეკომპანიების „მესეტროს“ და „მე-9 არხის“ მიმართ განხორციელებული სანქციები, ასევე ბეჭდვითი მედიის მიმართ ამოქმედებული ახალი ნორმები სააგენტო მასალების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არ მახსენდება შეიზღვევ ირანის გარდა, სატელიტური ანტენების ასე მასიურად დაყიდვა-დაპატიმრებისა, რომელიც, სამწუხაროდ საქართველოში განხორციელდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ჩვენი საარჩევნო ბლოკი პირდაპირ და ირიბად და კანდიდატის, განიცდის ყველანაირ შეზღუდვას.

ჩვენი ქვეყნის უბედურება იმაშია, რომ არ და ვერ მოხერხდა მმართველი პარტიის და ხელისუფლების გამიჯვნა, იმიტომ რომ ხელისუფლებას, ანუ იგივე მმართველ პარტიას, ამის პოლიტიკური ნება არ გააჩნია. ასეთი რამ ერთპარტიულ კომუნისტურ წყობის დროსაც არ ყოფილა. მმართველი პარტიისათვის დასაშვებია ყველაფერი, ოპოზიციისათვის კი აუცილებელია დრაკონული კანონების ფარგლებში მოქმედება. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა ბიუჯეტს მთლიანად საარჩევნო მიზნით იყენებს, რომელიც გულისხმობს ინფრასტრუქტურული ობიექტების პოლიტიკური მიზნით გამოყენებას, საარჩევნო საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულების რაოდენობის გაზრდა. ერთი სიტყვით, მიუხედავად აკრძალვისა. მმართველი პარტია აქტიურად იყენებს სახელმწიფო-სახელი-სუფილი რესურსებს. ხელისუფლებას ასეთი ქმედება გავლენას ახდენ-

სი არა მარტო ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე, არამედ ხშირ შემთხვევაში კი არჩევნების შედეგებზეც.

იმდენად მრავალფეროვანია უკანონო ზემოქმედების ფორმები, რომელთაც ხელისუფლება იყენებს ამომრჩევალთა მიმართ, უბრალოდ ვერც ჩამოვთლი. შემოდოდა დავასახლო მხოლოდ ნაწილი. ნაცმოძრაობა აქტიურად იყენებდა ე. წ. პატიმრების თემას, რომელიც დადასტურდა იმ საშინელი ვიდეო მასალით, რომელიც იხილა ჩვენმა მოსახლეობამ. პატიმრების ვადაზე ადრე განთავისუფლება, პატიმრების პირობების გაუმჯობესება, ეს ერთ-ერთი მხარეა. ამ „არსენალს“ მიეკუთვნება პატიმართა ოჯახების დაშინება, თუ ისინი მხარს არ დაუჭერენ ნაცმოძრაობას, მაშინ, მათ პატიმრებს ციხეებში პრობლემა შეექმნებათ და ა.შ.

ნაცების ნაცადი მეთოდი ე. წ. ჯარისკაცების თემაც, უპრეცედენტო სავალდებულო გაწვევა, რომელიც ახლა მიმდინარეობს და ემსახურება ერთ მიზანს: ჯარისკაცები 1 ოქტომბერს ხმას მისცემენ სპეცუბენებზე, ანუ ამ კონტინგენტის ხმა ასი პროცენტით გაყალბებულია. არ არის გამორიცხული, იმავე დღეს თავიანთ უბნებზე დაბარდნონ ტრანსპორტით და აქაც მიაციემინონ ხმა, პერსპექტივაში ჯარიდან განთავისუფლების პირობით. ზემოთ აღვნიშნე, რომ საარჩევნო იზრდება საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა, პარალელურად ეს ადამიანები მუდმივად „მანტაჟის კეუ“ არიან სამუშაოდან დათხოვის კუთხით. ხელისუფლება მუდმივად იყენებს სოციალური დანხარების დანიშნის, ან მოხსნის ხერხს, რადგან ამომრჩევლთა ეს კატეგორია მაქსიმალურად მათზე იყოს დამოკიდებული. მეტსაც ვიტყვი ლანჩხუთში, ახლად შექმნილმა ე. წ. დასაქმების სამინისტრომ ორას ადამიანთან გააფორმა ერთვანი დასაქმების ხელშეკრულება 300 ლარის ანაზღაურებით, თუ რა პირობებზე წაუყენებენ ასეთ „დასაქმებულებს“, ძნელი ამოსაცნობი არ უნდა იყოს“.

**ტარიმ კალანდარიშვილი:** „რადგან ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტები, არავითარ თანაბარ პირობებზე საუბარი არცეი შეიძლება. მასმედია დაყოფილია მიშას და ბიძინას ტელევიზიებად. საარჩევნო სუბიექტებს გვაქვს რადიკალურად განსხვავებული ფინანსური (მწერი) შესაძლებლობები. მკაცრად გაფრთხილებული და დაშინებულნი არიან ბიზნესმენები, რომლებსაც ჩვენსკენ გამოხედვაც ეკრძალებათ.“

ჩვენი პარტიის რაიონულ ორგანიზაციაზე ხელისუფლების მხრიდან პირდაპირი იერიში ჯერ-ჯერობით არ განხორციელებულა, თუმცა ადგილი აქვს ზოგიერთი წევრისა და აქტივისტის „დამუშავებას“ და გადაბირებას, რაც სამწუხაროდ გამოსდით კიდევ, ჩვენ კი ცვლილობით რომ ყოველი ასეთი ფაქტი ადგკვეთით და არ დაფუძვით მომავალში.

წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიისა და ხელისუფლების ქმედება ყოველგვარ ჩარჩოებს ცილდებდა, ისინი ყოველგვარი ბინძური მეთოდებით (მოსახლეობის მოჭრთამვა, მათზე ზეწოლა, ადმინისტრაციული რესურსის სრულად გამოყენება, ბიუჯეტის თანხების საარჩევნო კამპანიისათვის ხარჯვა, ბიზნესმენთა

ფინანსურად დაწიოკება, ადგილობრივი და უცხოელის ექსპერტების და პიარ-კომპანიების მოსყიდვა-დაქირავება, პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრთა გამოყენება საარჩევნო ხმების მოსაპოვებლად, არჩევნების დღეს მისი გაყალბებისათვის ათასგვარი გზებისა და ხრიკების შემუშავება-დანერგვა) ცდილობენ არჩევნებში დაუმსახურებელი გამარჯვების მიღწევას. ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი მათი მოქმედება, რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენას ახდენს ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე.

ჩვენი მწირი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, პარტიის აქტივისტებსა და შტაბის წევრებს ვაძლევთ ტელეფონის ბარათების თანხს და მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების საშუალებას. პარტიის ოფისისათვის ვიხდით 50 ლარს თვეში“.

**ზორბეგ ჯაფარიძე, კოალიცია „ქართული ოცნება“:** „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ წინასაარჩევნო მართონი ტარდება არათანაბარ პირობებში. მოწინააღმდეგე მხარე იყენებს ყველა ძალას, დაწყებული სამთავრობო რესურსებით, ზეწოლებით, მანტაჟით. ამას გარდა ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს მოახდინოს ზეწოლა ჩვენი კორდინატორების ოჯახებზე. მხედველობაში მაქვს სოციალური დახმარების მოხსნა, შვილების ჯარში გაწვევა და რაც მთავარია, პატიმრების ციხიდან გამოშვება (ამის მაგალითია ნიკოტისა და გვიმბალაურის ტერიტორიული თემის ერთეულები), რის საფასურად მათ აიძულდნენ უბნებზე მუშაობას ნაციონალთა სასარგებლოდ.“

მაჟორიტარ კანდიდატებზე ზეწოლა ხდება შეხვედრაზე ამომრჩევლებზე ზეწოლით, მანტაჟით. მაგალითად 12 სექტემბერს სოფელ აკეთში შეხვედრაზე წამსვლელებს გადაუტეტეს გზა – აქედან გამომდინარე ბუნებრივია, იმოქმედებს ამომრჩევლთა გადაწყვეტილებაზე. შეხვედრის წინა დამით ხდება დაშინება. ასევე სამხედრო განყოფილება ახდენს ზემოქმედებას ჩვენს კოორდინატორებზე. სოფელ ღრმალელეში ორი მოქალაქე, ბლავიძე და ინჯია – იყვნენ ავადმყოფები, ერთერთს ჰქონდა არასწორი კიდურები, აქედან გაუშვეს, ცენტრალურმა კომისიამ კი დაიწუნა.

რაც შეეხება ოფისს, შტაბის მიერ არის დაქირავებული. ხელშეკრულება დადებულია მეპატრონესა და კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავარ ოფისს შორის.

როგორც ცნობილია, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ყველა ანგარიში დაყალბებული აქვს, რის გამოც თბილისიდან არანაირი დაფინანსება არ გვაქვს. საწვავის, ტრანსპორტის გადაადგილება ხორციელდება მაჟორიტარობის კანდიდატის საკუთარი დანაზოვით. ასე, რომ თუ ცენტრალური ოფისი გამოიხმავს საშუალებას, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა უფრო თვალსაჩინო გავხადოთ კანდიდატის ღირსებები და პოტენციალი.“

მიუხედავად მრავალგზის მიმართვისა, ვერ მოვიპოვე პასუხები ჩემს შეკითხვებზე მმართველი პარტიის შტაბისაგან.

**ლელა კვიციანი**

**სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.**

